

## ბრძანების პროექტი

### თბილისი

№ 581/03

11 ოქტომბერი 2013წ.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ერთიანი ეროვნული გამოცდების გაგლის გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვის შესახებ

“უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის შესაბამისად და აბიტურიენტებისათვის / მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის / სტუდენტებისთვის ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გაგლის გარეშე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 26 სექტემბრის № 747 ბრძანების გათვალისწინებით

#### ვბრძანებ:

- I. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნას ინდოეთის მოქალაქე ნითია შანმუგამ;
- II. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის რუსულენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნას რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ნატო ლობჯანიძე.
- III. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის ფაკულტეტის ქართულენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნას რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ვიქტორია ზურაბიანი;
- IV. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტის ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხულ იქნას თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ისმეთ თოღვა შაჰინოღლუ.

V. ამ ბრძანების პირველი, მეორე და მეოთხე პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტებს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროთ 2013 წლის 1 ნოემბრამდე.

VI. ამ ბრძანების მესამე პუნქტით განსაზღვრულ სტუდენტს ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განესაზღვროს 2013 წლის 15 ოქტომბრამდე.

VII. დაევალოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების გამოქვეყნება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

VIII. ბრძანება ეგზავნება რექტორის მოადგილეს რ. ბერიაშვილს, მედიცინის ფაკულტეტის დეკანს თ. ჩიქოვანს, უცხოელ სტუდენტთა განათლების დეპარტამენტის უფროსს გ. გიორგობიანს, სტომატოლოგიის ფაკულტეტის დეკანს ს. მღებრიშვილს, ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაცია ფაკულტეტის დეკანს კ. ჭელიძეს, საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსს ი. ავალიანს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს ზ. ტალახაძეს, სასწავლო პროგრამების მართვის, შეფასებისა და სტუდენტთა რეგისტრაციის დეპარტამენტის უფროსს რ. რუხაძეს, ფინანსური რესურსების მართვის და აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტის უფროსს ნ. მარიამიძეს, მთავარ ბუღალტერს ი. დოლიძეს.

IX. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პროფესორი ზურაბ ვადაჭკორია

**რექტორი**